საქართველოს ძლიერება გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1938 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 25 (6519) 25 ივნისი ხუთშაბათი 1992 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონის საკრებულოს, პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს

## ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს დეპუტატთა მიმართვა

გამოვხატავთ რა ქვედა ცაგერის საკრებულოს 2200 ამომრჩევლის ინტერესებს, უფლებამოსილად ვთვლით თავს განვაცხადოთ შემდეგი:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 21 მაისის დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება" სრულად არ გამოხატავს ლეჩხუმელ ამომრჩეველთა ინტერესებს, და, ჩვენი აზრით, მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას. კერძოდ, პარლამენტის არჩევნების დებულებაში უგულებელყოფილია ლეჩხუმის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიული, ეთნოგრაფიული კუთხის რაობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. უფრო მეტიც, ცაგერის რაიონის ამომრჩევლებს ერთმევათ უფლება დემოკრატიული პრინციპების დაცვით აირჩიონ დეპუტატი ქვეყნის უმაღლეს ორგანოში. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 70 წლის მანძილზეც კი არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლეჩხუმს უმაღლეს საბჭოში ერთი დეპუტატი მაინც არ ყოლოდეს არჩეული. ახლა კი დებულებით სამ რაიონს—ონს, ამბროლაურსა და ცაგერს მიცემული აქვს 2 მანდატი.

მოვითხოვთ:

უმოკლეს ვადაში იქნეს მოწვეული რაიონული საკრებულოს გაფართოებული სესია, რომელსაც დეპუტატთა გარდა დაესწრებიან პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რაიონის აქტივი. აქ რაიონის ამომრჩეველთა ინტერესებიდან გამომდინარე მიღებულ უნდა იქნეს ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილება, რომელიც გაეგზავნება რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ლეჩხუმელ ამომრჩეველთა ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი პოზიცია გამოხატოს რაიონის ყველა საკრებულომ.

ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს სესიის მონაწილენი.

## ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს სესია

19 ივნისს გაიმართა ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს პირველი მოწვევის მეხუთე სესია დღის წესრიგით:

1. ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს 1991 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და 1992 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
2. ქვედა ცაგერის საკრებულოს ტერიტორიაზე მიწის პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ;
3. ქვედა ცაგერის სოფლის საკრებულოს გამგეობის არჩევნები;
4. რაიონული საკრებულოს, ყველა პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი საკრებულოს დეპუტატთა მიმართვის შესახებ.

დღის წესრიგის პირველ და მეორე საკითხებზე მოხსენებით გამოვიდნენ საკრებულოს მდივანი **კარლო კოპალიანი** და საკრებულოს გამგებელი **დავით ლეთოდიანი**.

კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა **ნუნუ ახვლედიანმა**, **შოთა კოპალიანმა**, **გიორგი კვირკაშვილმა**, **თამაზ ქარსელაძემ**, **დესნა სილაგაძემ**, **თინა ლეთოდიანმა**, რაიონული საკრებულოს წარმომადგენლებმა **სოსო კოპალიანმა**, **კუკური ხეცურიანმა**, მიწის რეფორმის ჭალისთავის, გვესოსა და ზედა ცაგერის კომისიების თავმჯდომარეებმა **გრიგოლ სალინაძემ**, **ბორის გოლეთიანმა**, **მირზა ჩაკვეტაძემ**.

განხილულ საკითხებზე სესიამ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სესიამ აირჩია საკრებულოს გამგეობა 7 კაცის შემადგენლობით.

სესიამ მიიღო საკრებულოს დეპუტატთა მიმართვა რაიონული საკრებულოს, ყველა პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი, რომელიც ქვეყნდება დღევანდელ ნომერში.

## ამ დღეების რიტმი

## ვაზს არ ღალატობენ

ყოველ დღეს ახალი დარდი და ცრემლი მოაქვს. არ იქნა და ვერ დაუდეთ გული საქმეს. არადა ცხოვრება თავის გზით მიდის, მტერს თავის უნდა და მოყვარეს თავის, მიწას კი, მარჩენალს—მიხედვა, თორემ შიმშილი ძუ მგელივით დაერწის საქართველოში.

ქვედა ცაგერელი მშრომელები მიწის პრივატიზაციის მოლოდინში უქმად არ ყოფილან. იჯარით მიჩენილი ფართობები, რომლის მოსავალი მთლიანად მეპატრონისაა და ხვალ კი ოფიციალურად გაუფორმდება თითოეულ ოჯახს (მიწის ფონდიდან გამომდინარე) საკუთარ მფლობელობაში, კარგი მოვლილია. მევენახეები, მიუხედავად იმისა, რომ კირი და შაბიამანი ასე გაძვირდა, არ ღალატობენ ვენახს, ლეჩხუმელი კაცის სიამაყესა და სიმდიდრეს, ბევრმა ყვავილობამდე 2-ჯერ შეწამლა.

ახლა ყვავილობს ვაზი, სასიამოვნო სურნელი ტრიალებს ზვრებში. რამდენიმე დღეც და ყვავილიდან გამობრწყინდება მტევანი, შემდეგ ერთი გულიანი გაფურჩქვნა-შეყელვა, ცის გახსნა და, გულს გაგვიხარებს, იმედით აგვავსებს.

დესნა სილაგაძე, ბიჭიკო კოპალიანი, ლაითა ჩანქსელიანი, ბუჭუ ახვლედიანი, ვალოდია გოგიძე და თითქმის ყველა მობილიზებულია ყურძნის მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

ღმერთმა ბარაქა და სიკეთე არ მოაკლოთ.

## მოსავალი უხვად იქნება

ახლა, როცა უმძიმესი ეკონომიკური კრიზისია საქართველოში, მუშა კაცი გამოსავალს თავდაუზოგავ შრომაში, ვაზისა თუ სიმინდის ყანის საგანგებო მოვლაში ხედავს. საუკეთესო მოვლილი აქვთ ზვრები ლაჯანელ მშრომელებს, სადაც საზოგადოებრივ ზვარს 69 ჰექტარი უჭირავს.—ყვავილობიდან უკვე გამოდის ვაზი და ისეთი მტევნები აქვთ, თუ ღმერთმა ქნა და შერჩა ბოლომდე, ყურძნის მოსავალი უხვად გვექნება,—ამბობენ გამოცდილი მევენახეები.

შაბიამანი, ჯერ ერთი, გაძვირდა (მომწოდებლის ფასი 45 მანეთია) და არც საშოვნელადაა ადვილი, მაგრამ კოლმეურნეობამ მაინც შეძლო და შემოიტანა. იგი მევენახეებზე განაწილდა და წამლობას თუ აქამდე სამჯერ, ოთხჯერ მაინც ატარებდა ჩვენი მევენახეები, ახლა საქმეს უფრო ეკონომიურად უდგებიან, მაგრამ ნამდვილი მევენახე ნემსის ყუნწში გაძვრება და ვაზს შეუწამლავს არ დატოვებს, მოუვლელობით არ დაჩაგრავს. ორჯერ, სამჯერ აქვთ შეწამლული ვაზი მოწინავე მევენახეებს გრიშა ლეშკაშელს, დავით ახვლედიანს, კუჭიკო მახარობლიძეს, ბორის თოთაძეს, შალვა მაჩაგაძეს და ბევრ სხვას.

მევენახის შრომა, ყურძნის მოსავალი ამინდზეა დამოკიდებული. ღმერთო, ხელი მოუმართე მშრომელ და ვაზზე შეყვარებულ კაცს.

## სხვაგვარად არ შეუძლია

წვიმიანი დღეა. ქუჩაში თითო-ოროლას თუ მოკრავ თვალს.

ნელი ნაბიჯით მივუყვები გზას ჩხუტელისაკენ. ფიქრებში გართული ქალბატონ ნორა მეშველიანის სახლს მივადექი. ლამაზად მომართული კარ-მიდამო მნახველს აგრძნობინებს, რომ აქ ნამდვილად გამრჯე და მშრომელი ადამიანის ხელი ტრიალებს.

იმთავითვე გულით მივენდე კეთილ მასპინძელს, ქალბატონ ნორას გავუშინაურდი და საუბარიც აეწყო.

—ახალგაზრდობიდანვე მივდევ მეაბრეშუმეობას, მიყვება. 39 წელია ამ საქმეს ვემსახურები, სხვა სამუშაოების პარალელურად. რა თქმა უნდა, ბოსტანი, ვენახი, ყანა—ყველაფერს თავისი უნდა, ყველა ერთნაირად უნდა გიყვარდეს.

—გასულ წელს 70 კილოგრამი პარკი ჩავაბარე. წელს რა ვიცი აბა, მგონი ნამეტანი მოვინდომე, 25 გრამი ჰია გამოვიყვანე. რომ იტყვიან, ახლა მაქვს გულითადი გაწამაწია.

წელს მაღალია ანაზღაურება. ბევრმა დაისვა აბრეშუმის ჰია. ასეც არ იყოს, თუ ხელი არ გავანძრიეთ, შიმშილი გვემუქრება, შვილო.

მომატებული **ფასისა რა** გითხრა, აბა წინანდელი 5 მანეთი ახლანდელ ას მანეთს უდრის. ასე რომ, ფასზე არ არის საქმე,—მითხრა და თვალი თუთის ფოთლის დიდი ხვავისკენ გააპარა. მივუხვდი, ბევრი დრო არ წავართვი სახელდებულ ქალს, ხელებდაკაპიწებულ მეაბრეშუმეს. ცახებზე მოფუსფუსე ჭიები შრიალით „მიირთმევდნენ" ახალ სურნელოვან ფოთოლს. გარეთ ბაღი და ვენახი უხმობდა მის გამრჯე მარჯვენას, ლურჯად მოლივლივე ყანაც, თვალსა და ხელშუა რომ ნებივრდება. იღლება, როგორ არ იღლება, მაგრამ სხვანაირად არ შეუძლია, არ მოესვენება. სხვანაირად ერთი დღეც არ უცხოვრია.

თ. ყვირილიანი.

## საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ახალი ფასები

ცაგერის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექცია გვთავაზობს მგზავრთა გადაყვანის ახალ ტარიფებს, რომელიც რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად დაამტკიცა რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ.

რაიონის **საგარეუბნო** მარშუტებზე მგზავრობის ღირებულება შეადგენს:

**ცაგერი—ტვიში**—14 მანეთი.
**ცაგერი—ლვირიში**—14 მანეთი.
**ცაგერი—ალპანა**—8 მანეთი.
**ცაგერი—ლაჯანა**—6 მანეთი.
**ცაგერი—ორბელი**—5 მანეთი.
**ცაგერი—ალვი**—6 მანეთი.
**ცაგერი—ლასურიაში**—2 მანეთი.
**ცაგერი—ოყურეში**—9 მანეთი.
**ცაგერი—ჩქუმი**—7 მანეთი.

**საქალაქთაშორისო** მარშრუტებზე მგზავრობის ღირებულებაა:

ცაგერი—ქუთაისი (მაგარსავარძლიანი ავტობუსით)—31-35 მანეთამდე.

რბილსავარძლიანი ავტობუსით 42-დან 48 მანეთამდე გაჩერების პუნქტის მიხედვით.

საზოგადოება და სამართალი

●

# მსაჯული სრულუფლებიანი მოსამართლეა

მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის თანაბარი უფლებით სარგებლობენ—აცხადებს კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების შესახებ“ და აქედან გამომდინარე ინტერესმოკლებული არ იქნება საზოგადოებამ იცოდეს მსაჯულთა არჩევასა და საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

ყველა სასამართლოში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები პირველი ინსტანციით იხილება, განაჩენი და გადაწყვეტილება დგინდება მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით. საქმეები იმ დანაშაულთა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით, ხოლო იმ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, სადაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საკითხს წყვეტს მოსამართლე სამართალში მიცემის სტადიაზე.

საქმის განხილვისას წამოჭრილი ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით, ამიტომ მართლმსაჯულების განხორციელებისას მსაჯულნი უნდა იყვნენ სამართლიანნი, ჰუმანურნი, პრინციპულნი და მიუკერძოებელნი, ამასთან ერთად მსაჯული უნდა იყოს მაღალზნეობრივი პიროვნება, მას უნდა ჰქონდეს სხვისი მოქმედების განსჯისა და შეფასების მორალური უფლება.

მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სასამართლო საქმეების განხილვისას კანონის უხეში დარღვევისათვის ან მათ მაღალ წოდებასთან შეუთავსებელი, სახელის გამტეხი საქციელისთვის, აგრეთვე მათ მიმართ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გამო. ამ მოთხოვნებთან ერთად კანონი ადგენს მსაჯულთა ხელშეუხებლობის გარანტიას. მსაჯულები სასამართლოში მათ მიერ მოვალეობათა შესრულების დროს არ შეიძლება მიცემულ იქნან სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან დაპატიმრებული მათი ამომრჩევი ორგანოს თანხმობის გარეშე.

არ დაიშვება მსაჯულის დაკავება, იძულებითი მოყვანა ან ადმინისტრაციული სასჯელის ღონისძიებების გამოყენება სასამართლოში მისი მოვალეობის შესრულების დროს. მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, ხოლო მის შესახებ სისხლის სამართლის საქმე განსახილველად ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს.

მსაჯულებს გარანტირებული აქვთ შრომის უფლებები. მათი ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნა ან დისციპლინარული სასჯელის წესით გადაყვანა დაბალხელფასიან სამუშაოზე უფლებამოსილების პერიოდში დაიშვება მხოლოდ მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

მსაჯულები სასამართლოში მოიწვევიან რიგის მიხედვით. წელიწადში არაუმეტეს ორი კვირის ვადით, ისინი მოვალენი არიან გამოძახებისთანავე გამოცხადდნენ სასამართლოში. ამის უზრუნველყოფა სავალდებულოა საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის ხელმძღვანელთათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს მსაჯული.

მსაჯული უნდა ერკვეოდეს კანონის მოთხოვნებში. მას პროფესიული იურისტის ცოდნა არ მოეთხოვება, მაგრამ სამართლებრივი ცოდნის მინიმუმი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. საკითხის მოგვარებისათვის ზრუნავს სასამართლო, სადაც კანონით გათვალისწინებული წესის შესაბამისად არჩეულია 70 მსაჯული. უნდა ითქვას, რომ მსაჯულთა აქტიურობა სავსებით არადამაკმაყოფილებელია. არადა დღევანდელ სიტუაციაში ისინი გვერდში უნდა ამოგვიდგნენ, რათა ობიექტურად, კანონის შესაბამისად განვიხილოთ ყოველი ჩადენილი დანაშაული. უნდა გავიცნობიეროთ ერთი რამ, მხოლოდ სამართლებრივი კულტურის ამაღლება შეიძლება გახდეს გარანტი მათზე დაკისრებული მოვალეობის სათანადოდ შესრულებისა.

**ლ. გურგუჩიანი,**
ცაგერის რაიონის მოსამართლე.

# სოფელს ახარებს მასთან შეხვედრა

მკითხველისადმი ულალატობის გრძნობა ახასიათებს ორხვის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგეს ლეილა მახარობლიძეს.

მას იცნობენ როგორც ერთგულ, დაუზარელ, გამოცდილ მუშაკს და საუკეთესოთა შორის საუკეთესო ბიბლიოთეკარად ახასიათებენ არა მარტო რაიონის საბიბლიოთეკო ქსელის მუშაკები, არამედ მისი მკითხველები, რომელთაც იგი გამორჩეულად უყვართ და აფასებენ.

ამ პატარა სოფლის მკვიდრთა სულიერი საზრდოა დაუნჯებული სოფლის ცენტრში მოთავსებული შენობის იმ მყუდრო და ლამაზ ოთახში, სადაც ლეილა თავს დაფუსფუსებს წიგნებს.

არც თუ ისე მდიდარია მისი შრომითი ბიოგრაფია, ცხოვრებაში ხშირად ხდება, რაღაც პატარა ბიძგი, პატარა შემთხვევა განსაზღვრავს ადამიანის მომავალს, მის საქმიანობას. ასე მოხდა ლეილას ცხოვრებაშიც. ამ სოფელში შექმნა ოჯახი. ისის იყო ამთავრებდა უმაღლეს სასწავლებელს და იქვე, სოფლის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ მთელი ცხოვრება საბიბლიოთეკო საქმეს დაუკავშირა.

უყვართ სოფლის მკითხველებს ლეილა მახარობლიძე, ამიტომაა, რომ ყოველ გაზაფხულზე მისთვის სოფლის პატარა და უხუცეს მკითხველებსაც კი მოაქვთ იებისა და ენძელების თაიგული საჩუქრად. საქმის ერთგულმა ბიბლიოთეკარმა ზეპირად იცის მოწინავე მკითხველთა ფორმულარების ნომრები.

ათასობით წიგნს გაუვლია მის ხელში. ვერ ეგუება ერთფეროვნებას, ბიბლიოთეკარს ერთგულებასთან ერთად უპირველესად სილამაზის გრძნობა, მაღალი ესთეტიკური გემოვნება უნდა ახასიათებდეს, სწორედ ეს იზიდავს მკითხველს. წიგნები ერთი თაროდან მეორეზე გადააქვს, სარემონტო სამუშაოებს ხშირად საკუთარი ძალებით აკეთებს, ამ დროს განსაკუთრებულად ეფერება წიგნს. საგულდაგულოდ ფუთავს, რომ მტვერი არ დაეყაროს, არ დაზიანდეს, ყოველ ახალ თაროს სისტემატურად სინჯავს და ამოწმებს.

ახლა, ამ სიდუხჭირისა და კრიზისის პირობებში ყველაზე მეტად სჭირდებათ ადამიანებს გამხნევება, სულიერი სიმტკიცის შენარჩუნება, რადგან გარდა იმისა, რომ აუტანელ ეკონომიკურ კრიზისში ვართ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ტრაგიკული ამბები მოდის, გააქტიურდა დამნაშავეთა სამყარო, მკითხველებს ახარებთ ლეილა მახარობლიძესთან შეხვედრა, რადგან იციან, რომ მათ აქ ყურადღებიანი და გულისხმიერი ქალი მოემსახურება, მათ ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებს, ნათელი მომავლის რწმენით დაამედებს.

**ჯ. მანდარია.**

პროფესიონალი

# პაციენტი იოლად მიენდობა

ათეულ წელზე მეტია რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების უფროს მედდად მუშაობს ხათუნა კოპალიანი-ხეცურიანი. გარეგნულად და სულიერად კეთილშობილს ადვილად მიენდობა შეჭირვებული პაციენტი. და მერე, როდესაც მკურნალობაც დასრულდება, განკურნებული ავადმყოფი მისთვის კიდევ ერთხელ განცდილი პროფესიული სიხარულია, ადამიანური გრძნობით გამოხატული პასუხისმგებლობაა მეორე ადამიანის ბედისადმი, და ეს მაშინ, როცა ჩვენს უსიამოვნო ემოციებით გადატვირთულ ხანაში ლამისაა საკუთარი მოვალეობის შეგრძნების უნარიც გაგვიქრეს.

გარეშე თვალით დანახული ხათუნას ყოველი დღე ჩვეულებრივი, ოჯახისა და სამსახურის ყოველდღიური საზრუნავითაა დატვირთული, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. ამ წყნარი და უპრეტენზიო ქალის ცხოვრების მაჯისცემა მგრძნობიარეა ერის სატკივარ-საფიქრალისადმი.

ორი შვილის დედა, მეუღლე, რომელიც ავსა და კარგს კუთვნილი საზომით განსაზღვრავს, ერის მშვიდობიანი ყოფის გარანტად მხოლოდ სულიერად მხნე, ზნეობრივად მთელ საქართველოს მიიჩნევს, საქართველოს, რომელსაც უამრავ პრობლემათა წიაღიდან თავის დაღწევის გზის ძიებისას თანამდგომად ხათუნასავით თავისი საქმის, მოვალეობის უშურველად მკეთებელი სჭირდება.

**ლ. ცხვედიანი.**

სიტყვა — ვეტერანს

# ტკივილმა დამაწერინა

ომის დაწყებიდან მეცამეტე დღეს უკვე ფრონტზე ვიყავ მოხალისედ სმოლენსკის მიმართულებით. ჩვენი დივიზია მტერს წინსვლის საშუალებას არ აძლევდა. დივიზიიდან ცოცხალი გადავრჩით 500 მეომარი. სმოლენსკთან ბრძოლები დამაბული იყო, მტერს უმტოდა გაერღვია დაცვის ხაზი მოსკოვისაკენ. ერთი ბატალიონი და ერთი ასეული ტანკისტი მტრის დივიზიამ გაგვინადგურა. ცოცხლები ტყვედ აგვიყვანეს. ამით ჩვენთვის ომი არ დამთავრებულა. ტყვეთა ბანაკში იმ არმიელებთან და ოფიცრებთან გვქონდა ბრძოლა, ვინც უღალატა სამშობლოს და თავის ნებით გადავიდა გერმანიის მხარეზე. ამის შემდეგ იყო იტალიის პარტიზანული ბრძოლები.

ჩემი ბიოგრაფიით, ვფიქრობ, თავი შეგაწყინეთ. მინდა ერთი, ვთქვა, რაზეც გული მტკიოდა და მტკივა: ბოლო წლებში საქართველოში შეწყვიტეს 9 მაისის—გამარჯვების დღის აღნიშვნა. რატომ? ფაშიზმზე გამარჯვების დღეს თვით გერმანელი ხალხი დღესასწაულობს, ჩვენ კი ბრალს გვდებენ, რომ რუსეთს ვიცავდით და არა საქართველოს.

ახლა კმაყოფილი ვარ, აღინიშნა 9 მაისი, მტერზე გამარჯვების დღე. გული კი დამწყდა, რომ ცაგერში ომის ვეტერანთა შეკრებას ვერ დავესწარი ავადმყოფობის გამო. ახალგაზრდებო, არა მგონია, თუ პატივისცემის არა, თქვენგან გულისტკენის ღირსი ვიყოთ სისხლისაგან დაცლილი ვეტერანები.

**გალაქტიონ სილაგაძე,**
სამამულო ომის ვეტერანი.
სოფ. მახაში.

შეხვედრა წარსულთან

*

# წაუქცეველი

დღევანდელობა შემძრწუნებელია თითოეული ჩვენგანისათვის. [illegible] ებს გვიქმნის გამოვიტირე [illegible] რგეთ სიხარული და ხალისი, სევდა და შიში ჩაგვდგომია თვალებში.

სურვილი გამიჩნდა შევხვედროდი ჩვენი ქალაქის მკვიდრს, ღვაწლმოსილ თედორე მდივანს, კაცს, რომლის თავზე წისქვილი არ დატრიალებულა, თორემ არაფერი დაკლებია.

იგი 1892 წელს დაიბადა. ასმეერთე წელიწადშია ახლა და მაინც შემორჩენია სილამაზე და ვაჟკაცობა, აზროვნებაც კარგი აქვს.

ჭაბუკობიდანვე ვაზი შეუყვარებია. ამ სიყვარულით მოვიდა დაფასება და სახელი, სახელდებული მევენახის სახელი დაიმკვიდრა ლეჩხუმში, მის მაგალითზე. როგორც კაცი, როგორც მეურნე. ბევრი აღიზარდა. ერთ გარჯაში საუკუნე გასულა. უკან რომ იხედება, ჭირიც, ლხინიც უნახავს, იგონებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. კარგა მოწიფული ვაჟკაცი იყო მაშინ, დიდი და პატარა ზეიმობდა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს პერიოდი, შემდგომ საბჭოეთის წლები, კოლმეურნეობების შექმნა, ერთი სიტყვით, იცვლებოდა დრო, მაგრამ თედორე მდივანი იყო უცვლელი თავისი სულით, შრომის სიყვარულით, კაცობით.

აღშფოთებულია დღევანდელი დღით, ნეტავ არ მოვსწრებოდიო, სინანულით ამბობს. ჩვენ დროს გაჭირვება როგორ არ იყო, შიმშილიც, მაგრამ სიყვარული, ნდობა, ერთობა არ წაშლილა, მტერს ვებრძოდით და არა ერთმანეთსო.

ახალგაზრდებმა პასუხისმგებლობა და საქმის სიყვარული დაკარგეთო. აგრძელებს და იგონებს:

სამამულო ომი მძვინვარებდა, ვირიცხებოდი სახალხო ბატალიონში. მეთაურმა კვირკველიამ ერთ საღამოს წერილი გადმომცა და დავალების შესასრულებლად გამგზავნა. თავად კი მისძინებოდა, დაღლილ-დაქანცულს.

როდესაც გამოეღვიძა, შემჰყვირა:

—მდივანი, შენ ისევ აქა ხარ?

—არა, მოვედი, ღიმილით ვუთხარი და წერილის პასუხი გადავეცი.

კარგა ხანს ვისაუბრე საინტერესო მოხუცთან, მე მასში საქართველო წარმომესახა ჭირ-ვარამ გამოვლილი, მაგრამ ისევ მხნე, რწმენით აღსავსე, წაუქცეველი, ავმაღლდი ამ შეხვედრით, წარსულსაც უფრო გონივრულად შევხედე და ხვალინდელ დღესაც.

თავადაც კმაყოფილი დარჩა მოხუცი, წარსულის მოგონება მისთვის ხომ სინამდვილე იყო.

**თეა ყვირილიანი.**

## გამოცდები, გამოცდები...

# სიმწიფის ატესტატზე

დასრულდა სკოლაში სწავლის უზრუნველი წლები და ცაგერის საშუალო სკოლის 31 მეთერთმეტეკლასელი წარსდგა წელს გამოცდებზე.

პირველი გამოცდა XI-ა კლასში ქიმიაში ჩატარდა, XI-ბ კლასში კი უცხო ენაში.

მეორე გამოცდა ორივე ჯგუფში ქართული წერა იყო. ახალგაზრდებისათვის დაუვიწყარია ის მღელვარე წუთები, რაც ქართული წერის წინ დაეუფლათ— „ურთიერთდანდობის მოტივები ... შემოქმედებაში", „მინდა ახალი გზები, მინდა ახალი რამე" (გ. ტაბიძე), „მეფე და დიდოსტატი" კ. გამსახურდიას რომანში „დიდოსტატის მარჯვენა", —ი, თემები, რაც საწერად უნდა აერჩიათ მოსწავლეებს. სამივე თემა დაიწერა. შედეგი საუკეთესოა—ოთხი ხუთიანი და 17 ოთხიანი.

სულ ოთხი გამოცდა იყო ჩასაბარებელი. გამოცდებზე წელს პირველად წარსდგა ქიმია-ბიოლოგიის გაძლიერებული სწავლების პროფილური ჯგუფი, რომელშიაც საგნისადმი მიდრეკილების მქონე 15 ბავშვი იყო გაერთიანებული. ქიმიის გამოცდაზე ხუთიანი შვიდმა დაიმსახურა, დანარჩენებმა ოთხები მიიღეს, ბიოლოგიაში 11 ხუთიანი დაიწერა, ოთხი მოსწავლის ცოდნა ოთხზე შეფასდა. წარმატებით ჩატარდა ასევე გამოცდები მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში.

ყველა საგანში ხუთიანი დაიმსახურა და ფრიადოსნის ატესტატი მიიღო ორმა მოსწავლემ.

დამთავრდა გამოცდები. მალე ცაგერის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები ცხოვრების გზა-სავალს დაადგებიან.

მშვიდობიანი იყოს თქვენი ცხოვრების გზა, ახალგაზრდებო!

# სიძნელეების მიუხედავად

ორბელის საშუალო სკოლის კოლექტივი (დირექტორი ჯიუ ბურჯალიანი) მომზადებული შეხვდა გამოსაშვებ და მეათე კლასში მისაღებ გამოცდებს.

სკოლის დირექციამ შესაფერი გარემო შეუქმნა მოსწავლეებს, რათა გამოცდებზე გამოემჟღავნებინათ საგნების საპროგრამო მასალის ცოდნა. მეთერთმეტე კლასში უარყოფითი შეფასება არცერთ მოსწავლეს არ დაუმსახურებია, 16 ახალგაზრდა მიიღებს საშუალო განათლების ატესტატს.

სკოლის მეცხრე კლასის 10 მოსწავლემ მეათე კლასში ჩასარიცხად გამოცდები ჩააბარა საქართველოს ისტორიაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), გეოგრაფიასა და ქიმიაში. უარყოფითი შეფასება არცერთ მოსწავლეს არ მიუღია. მართალია, მცირე კონტინგენტი ჩაირიცხა მეათე კლასში, მაგრამ სკოლის პედაგოგიური კოლექტივი დარწმუნებულია, რომ მონდომებული და ცოდნის შეძენით დაინტერესებული მოსწავლეების ჩარიცხვა დიდად შეუწყობს ხელს სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებას.

სკოლის დირექციას შედგენილი აქვს ახალი 1992–1993 სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა. შარშან განათლების განყოფილების დახმარებით, მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, სკოლას ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. წელს ადგილობრივი საშუალებებით მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა სასწავლო ოთახებსა და კაბინეტებს, სასწავლო დგამ-ავეჯს. მიღებულია ზომები სწავლების თვალსაჩინო და ტექნიკური საშუალებებით კაბინეტების შევსებისა და ზამთრისათვის შეშით უზრუნველყოფისათვის.

მიუხედავად სიძნელეებისა, სკოლა მომზადებული შეხვდება ახალ სასწავლო წელს.

**ვლ. დავითულიანი.**

## გამოსათხოვარი

### ჭიჭიკო ტერენტის ძე ხეცურიანი

წავიდა ჩვენგან სოფლის ღირსეული შვილი, თავმდაბალი და ჭეშმარიტი მეგობარი, კარგი მეოჯახე, შრომისა და ომის ვეტერანი, პერსონალური პენსიონერი ჰიჰიკო ტერენტის ძე ხეცურიანი.

ჰ. ტ. ხეცურიანმა ცხოვრების ღირსეული გზა განვლო, იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, წლების განმავლობაში მუშაობდა ლარჩვალისა და წიფერჩის კოლმეურნეობების თავმჯდომარედ, რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ, წვენების ქარხნის დირექტორად, წიფერჩის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო გაერთიანების საწარმოს დირექტორად.

იგი დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას იჩენდა მაღალ პასუხისმგებლობას, რაც მრავალგზის იქნა გამოხატული მთავრობის ჯილდოებით.

ჰ. ტ. ხეცურიანის ნათელ ხსოვნას ყოველთვის დიდებითა და პატივისცემით შეინახავენ მისი ახლო მეგობრები, თანასოფლელები.

**თანასოფლელები.**

### ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძე

32 წელი გარგუნა ბედმა ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ შენი სითბო, სიკეთე, სიყვარული, შერწყმული კეთილშობილებასთან, განათლებასთან, თავმდაბლობასთან უხვად წვდებოდა ყველას, ვისთანაც კი რაიმე კონტაქტი გქონდა.

ბავშვობიდანვე გამორჩეული იყავ შრომისმოყვარეობით, სალი აზროვნებით, მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვაზე ხელის აწევას ვერავინ გასწრებდა. ოჯახის ხელმოკლეობის გამო არავის აწუხებდი, შენი შრომით ცდილობდი გზის გაკაფვას. ამჟამად ქუთაისის კოოპერაციულ ტექნიკუმს ამთავრებდი, დიპლომი სწორედ დღეს უნდა აგეღო, შემდეგ უფრო დიდ საქმეზე ფიქრობდი, უმაღლესი განათლების მისაღებად, დასაოჯახებლად ემზადებოდი. დღეს კი შენთან განშორების დღეა.

ჩვენო ზურია, იმ დაწყევლილ დღეს ჩვენს გვერდით იყავ, წუთებმა გადაწყვიტა შენი სიცოცხლე, ვერ გიშველეთ, ვერ დაგეხმარეთ, გაამწარე მშობლები, და-ძმები, ახლობლები, დააკლდი სოფელს, ოჯახს ჯერ კიდევ არა აქვს გააზრებული როგორი იქნება ცხოვრება შენი ზრუნვისა და მხარდაჭერის გარეშე.

შენ ხომ სამარადჟამოდ 32 წლისა დარჩები ცხოვრების დაუსრულებელ გზაზე. გწამდეს მიდიხარ და მარადისობაში გადასულს თან მიგყვება ყველა შენი ახლობლის და მეგობრის ტკივილით ალსავსე გულის ნაწილი.

**მეგობრები, თანასოფლელები.**

## ნორჩების სამყაროში

◆

# მომავალ მკითხველებთან

ამ დღეებში ცაგერის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა ლიტერატურული დილა „დაილოცოს დედა-ენის შემოქმედი". ყვავილებით მორთულ დარბაზში შეკრებილმა ნორჩებმა, ბიბლიოთეკის მომავალმა მკითხველებმა, მხიარული სიმღერებით, ლექსებით, ლამაზი ცეკვებით მოხიბლეს მაყურებლები. თავიანთ უმცროს მეგობრებს მიესალმნენ და ლექსები წაუკითხეს საბავშვო ბიბლიოთეკის მკითხველებმა ირინე კოპალიანმა, ლანა სალინაძემ, მაია და მაკა პირველებმა, გიორგი ხეცურიანმა.

ლიტერატურულ-მხატვრული ღონისძიება მოამზადეს პედაგოგებმა ნინა ჩაკვეტაძემ, ვიოლეტა მურცხვალაძემ, მაგული და ნუნუ კოპალიანებმა, მანანა ყურაშვილმა.

ღონისძიების დასასრულს სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საზეიმო ვითარებაში საჩუქრად გადასცეს წიგნები თავიანთ მომავალ მკითხველებს და მათ პედაგოგებს.

**თ. ტვილდიანი,**
**სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.**

# საჩუქრად — ბავშვების სიყვარული

უჩვეულო ჟრიამული, უზომოდ მხიარული სახეები, საზეიმო იერი და უამრავი ვარდი—ასე გამოიყურებოდა 4 ივნისს წიფერჩის საბავშვო ბაგა-ბაღი. რიცხვიც და დღეც სხვა დღეებისაგან განსხვავებული აურჩევიათ, 4 ივნისი ხომ ამაღლებაა, და სწორედ ამ დღეს დაემშვიდობა გამოსაშვები ჯგუფის 15 აღსაზრდელი მშობლიურ ბაღსა და საყვარელ აღმზრდელებს.

აღსაზრდელებს მომავლის გზა დაულოცა ბაგა-ბაღის გამგემ ნ. მუშკუდიანმა. ჯგუფის მასწავლებელი მალვინა ეფაძე დედაშვილურად ქთავს ევლებოდა პატარებს.

იმ დღეს ნორჩებმა უამრავი ლექსი, სიმღერა შეასრულეს, მომხიბვლელადაც იცეკვეს. მასწავლებელ ნ. შკუბულიანს უსწავლებია მათთვის ეს სიმღერები და ცეკვები, ამიტომაც მიიღეს საჩუქრად აღმზრდელებმა ლამაზ თაიგულებთან ერთად ბავშვების უზომო სიყვარული.

„ჩვენი ჯგუფის ზეიმია"... მღერიან პატარები და მათი საზეიმო განწყობილება გადამდებია.

**შორენა ხეცურიანი.**

# სკოლაშიც გაჰყვებათ

სოფელ ლუხვანოს საბავშვო ბაღში შესვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ უამრავ პრობლემას მოუყრია თავი, თუმცა აღმზრდელები თავდაუზოგავი მუშაობით ცდილობენ ამ პრობლემების გადაჭრას. ბაგა-ბაღის გამგე მარინე ხეცურიანი, აღმზრდელი ნონა კოპალიანი, მუსიკის მასწავლებელი გულნაზი გოლეთიანი და სხვა თანამშრომლები ბავშვებისადმი გულთბილობასა და დიდ სიყვარულს ავლენენ, რაც ალბათ ახლა ყველაზე მთავარია.

როგორც ქალბატონ მარინესთან საუბრიდან ჩანს, პრობლემა უამრავია, მაგრამ ყველაზე ხელისშემშლელი პროდუქტის საკითხია: „ბავშვებისათვის პროდუქტი ხშირად სახლებიდან მოგვაქვს, ოღონდ მათ არაფერი დააკლდეთ"—ამბობს ბაგა-ბაღის გამგე. შენობის რემონტიც კი საკუთარი სახსრებით გაუკეთებია პედაგოგ-აღმზრდელებს. პრობლემებიდან თავის დაღწევას საბავშვო ბაღი მასწავლებლებისა და მშობლების დახმარებით ახერხებს.

და მაინც, ლუხვანოს საბავშვო ბაღში ტრადიციულად ჩატარდა გამოშვების საღამო. ბავშვები მუსიკის პატარა დარბაზში შეიკრიბნენ. ისინი მღერიან, ცეკვავენ, ლექსებით ეჯიბრებიან ერთმანეთს. ასე ეთხოვებიან საბავშვო ბაღს. პატარებს ეძახით სკოლის ზარი და მწამს, რომ საბავშვო ბაღში მიღებული დიდი სითბო სკოლაშიც თან გაჰყვებათ.

**თამარ დავითულიანი.**

---

**გილოცავთ ახლადდაქორწინებულებს!**

**ნანა, ვასო, აზა, ბახვა სალინაძეებს**

გილოცავთ ბედნიერებას. ფუძემლიერი და შვილმრავალი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახები.

**ნორა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახებით.**

---

**გილოცავთ**

**ვალერიან ბენიძეს**

გილოცავთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭებას.

**ოთარ, მამუკა თვარაძეები ოჯახებით.**

---

**ეკა, ხვიჩა, ზინა, რომან ჩარკვიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას.

**ციცინო, მაკა, ზაზა, ხეცურიანები, იზა, ირაკლი ჩაკვეტაძეები.**

---

**ნანა, ნატო, ლია, ზაურ ახვლედიანებს**

გილოცავთ ნინოს ბედნიერებას

**ციცინო, მაკა, ზაზა ხეცურიანები.**

---

**ლია, ზაურ ახვლედიანებს**

გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.

**ციცო სადილიანი, ლია გუგავა, ჟენია მანაგაძე, ინგა თოთაძე, აზა ირემაძე, ლია მუშკუდიანი, მაია ბახსოლიანი, მედიკო ნემსაძე, ჟუჟუნა მეშველიანი, შურა ნემსწვერიძე.**

---

**ლია ხვადაგიანს, ზაურ ახვლედიანს**

გილოცავთ ქალიშვილის ბედნიერებას და შვილიშვილის შეძენას. ღმერთმა გამრავლოთ და გაბედნიეროთ.

**მანანა გოგიძე, მანანა სალინაძე, ნელი ქურასბედიანი, მიმოზა სვანიძე, ლია, ლოლა მუშკუდიანები, ლონდა გუგავა, მარადი მახარობლიძე, მთვარისა კოპალიანი, მერი იმედაშვილი.**

ცაგერის რაიონის საკრებულოს გამგეობა და აპარატის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ოთარის ძე ყურაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თამარი, შვილები ფატი, დალი, ციცინო, ირინე, ბონდო, რაალი მარინე ქლიბაძე, დები ოლია, ნიურა, თინა, ბიცოლა კატუშა, სიძეები ჯემალ ალაშვილი, გრიშა კოპალიანი, ამბროსი ირემაძე, უჩა ლიპარტელიანი, ალექსანდრე ტაბიძე, შვილიშვილები თამაზი, თამარი, ბიძა გიორგი ბენიძე, უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჰიჰიკო ტერენტის ძე ხეცურიანი.**

დაკრძალვა 27 ივნისს, შაბათს, სოფ. ლარჩვალში.

---

ომარ ჰაბუკიანი, ძმები შოთა ახვლედიანები, გივი ბენდელიანი ლამარა ბერიძე, მანანა კუხალაშვილი, ლია, მანანა მუშკუდიანები, ლალი მურცხვალაძე, ბელა მეშველიანი, ნატო სილაგაძე, ლალი ნემსწვერიძე თანაუგრძნობენ ქეთინო ლიპარტელიანს ბიძის

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, გურამ ლეთოდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჰიჰიკო ტერენტის ძე ხეცურიანი.**

---

მურმან თოთაძე, ნაილი ფუტკარაძე, ლეილა სადილიანი, ნათელა, მანანა ხეცურიანები, დალი კვირკაშვილი, ნატო ირემაძე, ციალა ჩაკვეტაძე, ელისო, ლია, ლალი ჰაბუკიანები, ასმათ, ბელა დავითულიანები, ლოლა ჩაკვეტაძე, იზო ტვილდიანი, მაყვალა ბენდელიანი, ნათელა ლიპარტელიანი, ეთერ ბაბლუანი, ქუქუნა არდანიანი, მირანდა სილაგაძე, კარლო მეშველიანი, ციცო ქარსელაძე, დალი გუგავა, თამაზ სალინაძე, ნანი ხაბულიანი, ნაირა მურცხვალაძე თანაუგრძნობენ ფატი ხეცურიანს და მაყვალა ფუტკარაძეს მამისა და ბიძის

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ქენია, ნოდარ შკუბულიანები, როლანდ სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ, ბათო, თინა, ტატიანა ყურაშვილებს შვილის, ძმის და ძმისშვილის

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მეზობლები დემურ, ჯუმბერ გოგიძეები, გივი, იმედა მუშკუდიანები, გიზო მდივანი, აბესალომ ლიპარტელიანი, ბორის ბერიძე, ოთარ თუთისანი, რომან ბაქრაძე, ქორა შკუბულიანი, სკენდერ ონიანი, ლათო სალინაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ ყურაშვილის ოჯახს

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

ამირან ბრეგვაძე ოჯახით იუწყება

**გოგუცა სილაგაძის**

გარდაცვალებას.

---

სერნო ცხვედიანი ოჯახით იუწყება

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას.

---

დედა მერი, მამა გიგლა, ბებია საშა, და მაყვალა, ძმები ზაური, ორეზი, მამიდები ნელი, ლამარა, თინა, დეიდები ჯულიეტა, ქენია, სიძე ამირან გურჩიანი, ბიძები როინ ბანძელაძე, იური გიორბელიძე, გრიშა ნემსწვერიძე, ჯემალ კოპალიანი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძე.**

დაკრძალვა 25 ივნისს, ხუთშაბათს, სოფ. ისუნდერში.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ტატიანა ყურაშვილს შვილიშვილის

**აჩიკოს**

გარდაცვალების გამო.

---

შემნახველი ბანკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ აზა, მურთაზ კოპალიანებს

**ჩიტო შოთას ასული თუთისნის**

გარდაცვალების გამო.

---

მანქანა-ტრაქტორთა პარკის საწარმოს კოლექტივი იუწყება

**ჰიჰიკო გურულის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ მუშკუდიანი, ომარ ჰაბუკიანი, იზოლდა ბურჯალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლიდა ნესტორის ასული ბურჯალიანი.**

---

წიფერჩის საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მზია ლარცულიანს ბიძის

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

კოოპერატივ „სარეწკელის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ გუგული სალინაძეს დედის

**ლიდა კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დოდო ასლანიკაშვილი, ზაურ ბობოხიძე ოჯახებით იუწყებიან

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ბადრი ფუტკარაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ჰიჰიკო ტერენტის ძე ხეცურიანი**

---

სოფელ ისუნდერის ახალგაზრდობა იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძე.**

---

ელგუჯა ყურაშვილი, ლევან ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იამა ყურაშვილი.**

---

ჰიჰიკო ტვილდიანი ოჯახით იუწყება

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები გიგა, ვაჟა, ლენა, ჯემალი, აპოლონი, ავთანდილი, შვილიშვილები, დედმამიშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლუბა დარისპანის ასული ბობოხიძე-მუშკუდიანი.**

---

ჯამბუ ქარდავა, თინა ონიანი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**შარდენ გუგავას**

გარდაცვალებას.

---

კობა, ამბერკი სილაგაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ იგრან, ნაილი მოწონელიძეებს დედისა და დედამთილის

**ნადია მოწონელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

გივი კვირკაშვილი, ავთო ჩხეტიანი, ბესიკ ხმელიძე, გივი ბენიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლედი ჩხეტიანს სიძის

**თემურ ბოჭორიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

№2 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაგული კოპალიანს ბიძაშვილის

**ჩიტო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

უჩა ლიპარტელიანი, ჯამბულ ბენდელიანი, ნუგზარ ტვილდიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჰიჰიკო ტერენტის ძე ხეცურიანი.**

---

ჯაბუ, ქორა, ჯემალ, ანზორ ხეცურიანები ოჯახებით იუწყებიან

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ალიოშა ქლიბაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ჯობო ბაკურაძე ოჯახით იუწყება

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

შუქურა ქარსელაძე, თამრო ტვილდიანი, ირინე გასვიანი თანაუგრძნობენ ოთარ, ტატიანა, თინა ყურაშვილებს

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ლამარა, ჯემალ კოპალიანებს

**ზურაბ ბანძელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისაავადმყოფოს სასწრაფო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლამარა ბანძელაძეს

**ზურაბ ბანძელაძის**

გარდაცვალების გამო.

---

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, გელა მამარდაშვილი, იზო კოპალიანი, ბუჭუ ბენდელიანი, გივი ნემსაძე, შალიმან დავითულიანი, გივი ქომეთიანი, კახა ფუტკარაძე, ზაურ, სერაპიონ, გელა ახვლედიანები, გრიშა ხაბულიანი, ოთარ ვაწაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლანგუშა, ქორა სილაგაძეებს

**ნადია მოწონელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაშა ბურჯალიანი, შარდენ გვიშიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ქორა გვიშიანის და თენგიზ ბურჯალიანის ოჯახებს

**ოთარ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

სევარიონ, ტიტიკო, შოთიკო, სოსო კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან

**თამაზ ყურაშვილის**

და

**არჩილ ბაკურაძის**

გარდაცვალებას.

---

ამირან, ავთო მუშკუდიანები, ნოდარ ხეცურიანი, ოლეგ ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჰიჰიკო ხეცურიანი.**

---

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ, ბათო, დალი, თინიკო ყურაშვილებს შვილის და ძმის

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

სოციუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე, ბონდო ხეცურიანებს მამამთილის და მამის

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ალპანის საკრებულოს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თენგიზ ბურჯალიანს ძმის

**ოთარის**

გარდაცვალების გამო.

---

ოთარ ლიპარტელიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ ყურაშვილის ოჯახს

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ქალაქის ბიბლიოთეკების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა, ომარ ჰაბუკიანებს მამიდის

**ლიდას**

გარდაცვალების გამო.

---

ჯანიკო ხვადაგიანი ოჯახით თანაუგრძნობს თინა ყურაშვილს

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შალვა ცვარიანი ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ ყურაშვილის ოჯახს

**თამაზის**

დაღუპვის გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი თანაუგრძნობს თინა ყურაშვილს

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ბიჭიკო იულოს ძე მამარდაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**ზურაბ გიგლას ძე ბანძელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ტარიელ გუგავა ოჯახით იუწყება

**თამაზ ოთარის ძე ყურაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

მირიან შკუბულიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**თამაზ ოთარის ძე ყურაშვილი.**

---

გიორგი, ზაურ, ვენედი ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას.

---

გერონტი სილაგაძე, გურამ კოპალიანი, გივი გიორგობიანი ოჯახებით იუწყებიან

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალებას.

---

№ 2 ორმოცბინიანი სახლის მცხოვრებნი თანაუგრძნობენ ირაკლი, ციალა გურულებს მამისა და მამამთილის

**ჰიჰიკო გურულის**

გარდაცვალების გამო.

---

მეთესლეობისა და ვეტლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა, ბონდო ხეცურიანებს მამამთილის და მამის

**ჰიჰიკო ხეცურიანის**

გარდაცვალების გამო.

---

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ იგრან მოწონელიძეს დედის

**ნადია მოწონელიძის**

გარდაცვალების გამო.

---

შუქური ყუბუსიძის ოჯახი იუწყება

**თამაზ ყურაშვილისა**

და

**არჩილ ბაკურაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას.

---

სპორტკომიტეტის, სპორტსკოლისა და საზოგადოება „შევარდენის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოთარ ყურაშვილს შვილის

**თამაზის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათელა კოპალიანი, ია მდივანი, გულო მეშველიანი, მარინე ლეთოდიანი თანაუგრძნობენ რეზო ყურაშვილს ძმის

**თამაზ ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

რაიკოოპერატივის თანამშრომლები იუწყებიან

**ზურაბ ბანძელაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯემალ აქსენტის ძე კოპალიანი ოჯახით იუწყება

**ზურაბ ბანძელაძის**

გარდაცვალებას.

---

მაყვალა ცხვედიანი, ლილი ყურაშვილი, თამილა ბენდელიანი, ირინე სვანიძე, თინა თუთისანი, ლეილა ბენიძე, ნორა ლარცულიანი, ნანი ქომეთიანი თანაუგრძნობენ ნუნუ გელენიძეს მულისშვილის

**ჩიტო თუთისანის**

გარდაცვალების გამო.

---

„ლეჩხუმი“ გამოდის ხუთშაბათს
ტირაჟი 2900 შეკვეთა №19

ჩვენი მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, სტამბის დირექტორის — 22-17, საამწყობო საამქროს — 22-22

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.